

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**

ქ. ბათუმი

18 სექტემბერი 2017 წ.

ბრძანება №01-08/67

**სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა
საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად
კონკურსის გამოცხადებისა და ვადების დადგენის შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის; ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის; „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის“ პირველი მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად:

საუნივერსიტეტო სტიპენდია:

- ა. აბუსერისძე ტბელის სახელობის - 1 ადგილი
- ბ. ფრიდონ ხალვაშის სახელობის - 1 ადგილი

საფაკულტეტო სტიპენდია:

ა. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე:

- იუსუფ კობალაძის სახელობის - 1 ადგილი
- დავით კაკაბაძის სახელობის - 1 ადგილი

ბ. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

- ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის - 1 ადგილი
- სულიკო ჟღენტის სახელობის - 1 ადგილი

გ. მუსიკის ფაკულტეტზე - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის - 1 ადგილი

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადების წარდგენის უფლება აქვს ბხსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), თუ:

ა) საუნივერსიტეტო სტიპენდიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, გამონაკლის შემთხვევაში დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

ბ) საფაკულტეტო სტიპენდიის მისაღებად:

- სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის დისციპლინებში აქვს 81 და მეტი ქულა; ყველა დანარჩენ დისციპლინაში კი აქვს შეფასება 71 ქულაზე მეტი.

- შესაბამისი სპეციალობის მიხედვით აქვს შემოქმედებითი აქტივობა და წარმატებები (მონაწილეობა გამოფენებში, კონცერტებში, კონკურსებში, სპექტაკლები და ა.შ.)

თეორიული მიმართულებით:

ა) სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, ან, გამონაკლის შემთხვევაში, დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

ბ) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა. შ. მონაწილე და აქვს მიღწევები.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ა) განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, (დანართი 1)

ბ) სასწავლო-შემოქმედებით/სამეცნიერო ავტობიოგრაფიას (CV). (დანართი 2)

გ) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის, შემოქმედებითი წარმატებების და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სერთიფიკატის, პროგრამების და სხვა დედანს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს;

დ) პირადობის მოწმობის ასლს;

ე) სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი სასწავლო ბარათის ასლი ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებული

ვ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის დედანს ან დამოწმებულ ასლს;

ზ) არანაკლებ ერთ რეკომენდაციას პროფესორისაგან, რომელიც კარგად იცნობს პრეტენდენტის სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო საქმიანობას.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიის მიერ არ განიხილება (არ შეფასდება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ კონკურსანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია;

ბ) თუ კონკურსანტის მიერ ინფორმაცია/დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.);

გ) თუ კონკურსანტს აქვს ფინანსური დავალიანება

დ) „სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესი“-ით აკრძალულ სხვა შემთხვევებში.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს სტიპენდიის მინიჭების კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ.№37, ოთახი №42), 2017 წლის 28 სექტემბრიდან 2017 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან - 16 საათამდე.

6. კონკურსანტთა განცხადებების განხილვა იწარმოებს 2017 წლის 02 ოქტომბერს საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2017 წლის 06 ოქტომბრისა.

7. ბრძანება გამოქვეყნდეს ხელოვნების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

ერმილე მესხია